Cubu Flex Life

სამოდელო რიგი

გამორჩეული დიზაინის მაღალტექნოლოგიური ჰალინთუსები

WWW.BAUFLEXY.GE

ბაუფლექსი
BAUFLEXY

კლინთუსი, რომელიც იდეალურად ერგება იატაკის ნებისმიერ საფარს

1. მაღალი სიმკვრივის მერქანბოჭკოვანი (HDF) შიგთავსი
2. პოლიპროპილენის ბაზაზე დამზადებული პოლიმერის ფენა, რომელიც არ შეიცავს ქლორს
3. ელასტიური ზედაპირი

Döllken Profiles GmbH არის სხვადასხვა ტიპის პლინთუსების (ხის, პლასტმასის, ალუმინის, და ა.შ.) მწარმოებელი უმსხვილესი გერმანული კომპანია მსოფლიოში. იატაკების, ხის ავეჯისა და ინტერიერის აქსესუარების მწარმოებელ სხვა კომპანიებთან ერთად, **Döllken Profiles GmbH** არის Surteco Group Se-ის (Surface Technology Corporation – ზედაპირის ტექნოლოგიების კორპორაცია) ჰოლდინგის წევრი. აღნიშნული საერთაშორისო კორპორაცია აერთიანებს 20 საწარმოს და დამატებით 15 გაყიდვების ოფისს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

Döllken Profiles GmbH პლინთუსები სერტიფიცირებულია, ყველაზე ცნობილი საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის, გარემოსდაცვითი ინსტიტუტის Greenguard-ის მიერ, ისეთი მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, რომელსაც ფაქტობრივად არ აქვს მავნე ქიმიური ნივთიერებების ემისია.

კომპანიის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი ინოვაცია პლინთუსების ინდუსტრიაში. ერთ-ერთ ასეთ ინოვაციას და ამავდროულად ყველაზე მოთხოვნად პროდუქტს (ევროპულ ბაზარზე და არა მხოლოდ) წარმოადგენს Cubu Flex.

პროდუქციის სამოდელო ხაზი მოიცავს შემდეგ კოლექციებს:

- **Cubu Flex Life**
- **Cubu Flex Life XL**
- **Cubu Touch & Style**
- **Hamburger Style**
- **Cubu Flex Life Premium**
- **Cubu Stone & Style**

ხარისხიანი ინსტალაციისათვის აუცილებელია:

- გილიოტინა **(Dollken Mitre Tool)**
- კუთხეების დასაჭრელი
- სპეციალური დამჭერი **(Clamping Device XL)**
- თერმო წებოს პისტოლეტი **(Hot-melt Adhesive Gun)**
- თერმო წებოს ჩხირები **(Hot-melt Adhesive Sticks)**
- კვალიფიციური ინსტალატორი

SAMSUNG

Cubu Flex Life Premium

Cubu Flex Life Premium-ის პლინთუსის უპირატესობები:

მაღალი სიმტკიცის ზედაპირი

მასალა და ვიზუალი იძლევა ნებისმიერ დიზაინერულ ჩანაფიქრზე მორგების შესაძლებლობას

ზომები (სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 60მმ*13მმ*2500მმ

ხელმისაწვდომი ფერების რაოდენობა: 6

ფერთა გამა:





Cubu Flex Life & Cubu Flex Life XL
Cubu Flex Life

ზომები (სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 40მმ*13მმ*2500მმ
60მმ*13მმ*2500მმ
80მმ*13მმ*2500მმ
100მმ*13მმ*2500მმ

ხელმისაწვდომი ფერების რაოდენობა: 4

ფერთა გამა:



Cubu Flex Life XL

იდეალური გადაწყვეტილებაა რემონტის ისეთი ხარვეზების გამოსასწორებლად, როგორიცაა დიდი დაშორება (ღრეჩო) იატაკის საფარსა და კედელს შორის, იატაკის კიდეებთან ღრმულები, უსწორმასწორობები და ა.შ.

ზომები (სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 60მმ*19მმ*2500მმ
80მმ*19მმ*2500მმ

ხელმისაწვდომი ფერების რაოდენობა: 3

ფერთა გამა:

Cubu Touch & Style

Döllken-ის სამოდელო რიგის ახალი კოლექცია

3D ზედაპირი და ნატურალური ხის ფაქტურის უზადო იმიტაცია
პლინთუსს ბუნებრიობის განსაკუთრებულ ეფექტს სძენს

ზომები (სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 60მმ*19მმ*2500მმ

ხელმისაწვდომი ფერების რაოდენობა: 30

Cubu Stone & Style

პროდუქციის ახალი სამოდელო რიგი აერთიანებს Cubu Flex Life-ის იდეალურ საექსპლოატაციო მახასიათებლებს, თანამედროვე დიზაინის ყველაზე აქტუალურ ტენდენციებთან. განკუთვნილია სპეციალურად ქვისა და ბეტონის იატაკებისათვის, შესანიშნავად ერწყმის ასევე ვინილისა და კვარც-ვინილის იატაკებს, რომელიც იმეორებს ბუნებრივ დეკორს.

ზომები (სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 60მმ*13მმ*2500მმ

ხელმისაწვდომი ფერების რაოდენობა: 10







Hamburger Style

პროდუქციის ახალი ხაზი **Hamburger Style** წარმოადგენს ხის კლასიკური პლინთუსის აპრობირებული დიზაინის შეწრყმას **Cubu**-ს უნიკალურ საექსპლოატაციო მახასიათებლებთან. ოპტიმალური გადაწყვეტილებაა ნებისმიერი ტიპის იატაკის საფარისთვის.

ზომები(სიმაღლე, სისქე, სიგრძე): 60მმ*21მმ*2500მმ
80მმ*21მმ*2500მმ
100მმ*21მმ*2500მმ

ფერი: თეთრი

weiß
1013 (5012)

ინფორმაცია პროდუქტის სიმაღლისა და საქარხნო შეფუთვის პირობების შესახებ

პროდუქტი	სიმაღლე მმ-ში	საქარხნო შეფუთვის პირობები
Cubu flex life Premium	60 mm	1 VE = 10 x 2,5 m
Cubu flex life	40 mm, 60 mm, 80 mm, 100 mm	1 VE = 10 x 2,5 m
Cubu flex life XL	60 mm, 80 mm	1 VE = 8 x 2,5 m (Cubu flex life XL 60/19) 1 VE = 6 x 2,5 m (Cubu flex life XL 80/19)
Cubu Touch & Style	60 mm	1 VE = 8 x 2,5 m
Cubu Stone & Style	60 mm	1 VE = 10 x 2,5 m
Hamburger Style	60 mm	1 VE = 8 x 2,5 m (HS 60) 1 VE = 6 x 2,5 m (HS 80) 1 VE = 7 x 2,5 m (HS 100)

რატომ Cubu-ს პლინთუსები?

დღეისათვის ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი პლინთუსების უმრავლესობა არის იმპორტირებული რუსეთიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან ან ბელარუსიდან. აღნიშნული პლინთუსები დამზადებულია MDF-ის ან პლასტმასის მასალისაგან და არის საშუალო ან დაბალი ხარისხის. შესაბამისად, მომხარებელს ვერ აძლევს გარემოსა და ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის არარსებობის გარანტიას.

ვერცერთი სხვა პლინთუსი, ესთეტიკის კუთხით (განსაკუთრებით პლინთუსების გადაბმის შიდა და გარე კუთხეების გამოყვანისას) ვერ იძლევა ისეთ შთამბეჭდავ ვიზუალურ ეფექტს, როგორც Cubu-ს სწორად ინსტალირებული პლინთუსები. გარდა ამისა, მომხმარებლებისთვის ერთგვარ დისკომფორტს ქმნის ისიც, რომ MDF-ის პლინთუსის გამოყენება არ არის რეკომენდებული ყველა ტიპის იატაკის საფარზე და ყველა დანიშნულების სივრცეში (მაგალითად იქ, სადაც მაღალია ტენიანობა ან არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნა ჰიგიენასა და სანიტარიაზე).

Cubu-ს პლინთუსები კი ოპტიმალური გადაწყვეტილებაა ნებისმიერი ტიპის იატაკის საფარისთვის, მათ შორის სპეციალიზებული პროდუქტი - Cubu Flex Life XL რბილი, ლამინატისა და პარკეტის იატაკისთვის, ხოლო Cubu Stone & Style ბეტონისა და ქვის იატაკებისათვის. ,

გარდა აღნიშნული უპირატესობისა, Cubu-ს პლინთუსების ხაზი მოიცავს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რომელიც სერტიფიცირებულია Greenguard-ის მიერ და მისი გამოყენება რეკომენდებულია სკოლებსა და სამედიცინო დაწესებულებებშიც კი.
თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უმაღლესი ხარისხის მასალების წყალობით, აღნიშნული პლინთუსები გამოირჩევა უნიკალური საექსპლუატაციო მახასიათებლებით, როგორიცაა: სიმტკიცე, ტენის მიმართ გამძლეობა, სწრაფი და მარტივი ინსტალაცია. ინსტალაციის სპეციალური სისტემის წყალობით (რომელიც გულისხმობს პლინთუსის არა მთლიანად გაჭრას, არამედ მხოლოდ შუაგულის ამოჭრას და გარე საფარისათვის შესაბამისი გრადუსის კუთხის მიცემას), გარე კუთხეები ბევრად მდგრადია მექანიკური ზემოქმედებისა და წმენდის მიმართ. პროდუქტი წლების მანძილზე ინარჩუნებს პირვანდელ სახეს.

Cubu Flex-ის პლინთუსების გამორჩეული უპირატესობები:

- მაღალი სიმკვრივის მერქანბოჭკოვანი შიგთავსი (ე.წ. HDF, ანუ High Density Fiberboard), მთლიანად შეფუთულია პოლიპროპილენის ბაზაზე დამზადებული პოლიმერის ფენითა და ელასტიური ზედაპირით, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის სიმტკიცესა და გამძლეობას ოთახში ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ. საშუალო სიმკვრივის მერქანბოჭკოვანი (ე.წ. MDF, ანუ Medium Density Fiberboard) მასალისგან დამზადებული პლინთუსებისგან განსხვავებით, **Cubu Flex**-ის პლინთუსები არ დეფორმირდება ზემოაღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად;
- სხვა (ხის ან MDF-ის) პლინთუსებისაგან განსხვავებით, კუთხის გამოყვანისას იჭრება არა მთლიანად **Cubu Flex**-ის პლინთუსი, არამედ მხოლოდ მისი შიგთავსი, გარე საფარს (პოლიმერული ფენის ელასტიურ ზედაპირს) კი ეძლევა შესაბამისი კუთხის ფორმა, რაც შესაძლებელს ხდის შიდა და გარე კუთხეების გამოყვანასა და გადაბმას დამატებითი აქსესუარების გარეშე;
- გამძლეობა მექანიკური ზემოქმედების მიმართ - პლინთუსი არ ზიანდება იატაკის საფარის მტვერსასრუტით ან სველი წესით წმენდისას;
- უმაღლესი ხარისხის პროდუქცია (დამზადებულია გერმანიაში);
- იდეალური გარე და შიდა კუთხეები;
- მარტივი ინსტალაცია **Döllken**-ის სპეციალური ინსტუმენტების და ჭრის უნიკალური მეთოდის წყალობით;
- პროდუქცია სერტიფიცირებულია Greenguard-ის მიერ და მისი გამოყენება რეკომენდებულია სკოლებსა და სამედიცინო დაწესებულებებშიც კი.

სერტიფიკატები

GREENGUARD

Döllken-ის პლინთუსები სერტიფიცირებულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ინსტიტუტის Greenguard-ის მიერ, რადგან პროდუქცია აკმაყოფილებს უმკაცრეს ჰიგიენურ-სანიტარულ მოთხოვნებს.

TCF

Cubu-ს არცერთი პლინთუსი არ შეიცავს ქლორს, რაც ხანძრის შემთხვევაში ამცირებს ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფის რისკს.



A+

Cubu Flex-ის პლინთუსები დამზადებულია ისეთი მასალებითა და ტექნოლოგიებით, რომელსაც ფაქტობრივად არ აქვს მავნე ქიმიური ნივთიერებების ემისია.

ბაუფლექსი
BAUFLEXY

- იატაკის საფარები
- შეკიდული ჭერები
- განათების სისტემები
- სამშენებლო ქიმია
- იზოლაცია

Forbo Flooring Systems-ის
დილერი საქართველოში
შპს ბაუფლექსი

www.bauflexy.ge

ბელიაშვილის ქ. 106, თბილისი, საქართველო, 0159
info@bauflexy.ge
+995 32 204 88 84